ოქმი:**ო12.37221721**
თარიღი:**21/06/2022**

# ოქმი № 14

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის**

2022 წელი, 21 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ქარჩავა, ვლ. ხავთასი, ქ.ვასაძე, ტ.მგელაძე, ნ.ნადირაშვილი, მ.ჩხიკვიშვილი, დ.მდინარაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

**მომხსენებელი: ქ. ხომერიკი**

**თანამომხსენებელი: ნ.ხომერიკი**

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო თანამომხსენებელმა ნ.ხომერიკმა, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო ახალგაზრდული პროგრამების შესრულების მიმდინარეობა, რომლის განსახორციელებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია 70 000 ლარი. ნ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება და მოტივაციის ამაღლება, მათ მიერ საინტერესო იდეების განხორციელება, ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების ხელშეწყობა-დაფინანსება. ასევე, აღნიშნა, რომ ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი თანამშრომლობით, ,,თვითმმართველობა განათლებისათვის“ და ,,ახალგაზრდების თვითგამოხატვის უფლების მხარდაჭერა თვითმმართველობაში“, პროგრამის ფარგლებში, გამოცხადებულია კონკურსი. ქვეპროგრამის მიზანია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 12-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების/პროექტების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება,

რომლის შედეგად მოხდება თვითმმართველობის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვა და მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

**გადაწყვიტეს:**

დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე